მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 46

2011 წლის 7 ივლისი

ქ. მცხეთა

ქ. მცხეთაში, მუხრანის ქ. №17-ის მიმდებარედ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობისათვის საფოსტო მისამართის მინიჭების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ძ" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის I პუნქტის ,,უ" ქვეპუნქტის, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ნ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

1. ქ. მცხეთაში, მუხრანის ქ. №17-ის მიმდებარედ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობას, სადაც ამჟამად განთავსებულია შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის მომსახურების სამმართველოს მცხეთის განყოფილება, მიენიჭოს საფოსტო მისამართი: ქ. მცხეთა, მუხრანის ქ. #17 ᵃ.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს:

2.1 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს;

2.2 საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს;

2.3 მცხეთის ტერიტორიულ ორგანოს.

3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში. მცხეთა, სამხედროს ქუჩა №17.

საკრებულოს თავმჯდომარე ანდრო კალანდაძე